# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 35. კვირა 7 აპრილი 1902 წ. გაზეთის № 1775.

# პ ა ე მ ა ნ ი

(რონის)

**I**

ქალი ამ პირველ პაემანზე ათრთოლებული მოვიდა, და ორივე ერთმანეთს ერთნაირის მღელვარებით შესცქეროდნენ. წვრილი და ამაყი ტანი შავებით შეემოსა, თითქოს პატიოსნებაზე სამგლოვიარო ჩაუცვამსო; მისი გაფითრებული თავი ამაღლებულიყო, თვალები მხურვალე მოუსვენრობით ბზინავდნენ. ისიც, თუმცა თვალ-აჭრილი იყო სასწაულებრივ მისი აქ ყოფნით, მაინც ნაღვლიანად იცქირებოდა.

მოსახვევად გაშალა ხელები, მაგრამ ქალმა თვალით სხვა წამისთვის გადადება სთხოვა. თუმცა ჯერ ისევ გაჩუმებულები იყვნენ, მაინც თან-და-თან უფრო დაახლოვებულებად ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს ერთმანეთისათვის; ორნივე შეიპყრო რთულმა სურვილმა, სიყვარულის ორაზროვანმა სურვილმა, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური. უნდოდათ ერთმანეთისა ყოფილიყვნენ, მაგრამ არც მოტყუება უნდოდათ იმ პირისა, რომელიც ორივეს უყვარდა. ქალი ვერაფერ დანაშაულობას ვერ უკიჟინებდა, როგორც ქმარს და ვაჟი კი, როგორც მეგობარს. სინიდისის ქეჯნა მათ ვნებას უფრო ცეცხლს უკიდებდა. ბუნება ფრიად პატიოსნებსაც კი უწერს ცბიერებას და სიცრუეს იმ დროიდგან, როდესაც შიშვლები ფოთლებში იმალებოდნენ, როგორც ლეგენდაშია.



**შესვლა იერუსალიმად.**—სურათი დორესი.

**II**

— ცუდია ეს!—წამოიძახა შესაბრალისად ქალმა.

— არა, ჩვენ ვემორჩილებით აუცილებელ კანონებს, რომლებიც გვისაჯავენ ან სიკვდილს, ან ცრუ კანონების დარღვევას.

ეხლაკი მიიზიდა თავისკენ ქალი, რომ პირველი კოცნა წაელო, მაგრამ ჯერ კიდევ ნება არ მისცა ქალმა.

— კანონები ჩემთვის სულ-ერთია,—წარმოსთქვა ქალმა—მარტო ერთი ის მაწუხებს...

— ახ,—ხვეწნით მიჰმართა იმან.—ნუ დავიწყებთ კვლავ სამწუხარო და გადაუწყვეტელ კამათს; და სულ დაბალის ხმით უთხრა:

— ღალატი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, როდესაც კარგად არ იმალება. ჩვენ ისე დავფარავთ, რომ ის ვერასდროს ვერ მიჰხვდება, და ექვსაც არავინ შემოიტანს.

ქალს გაეღიმა. იგი თითქმის ნახევრად დარწმუნდა, თუმცა ისევ შეზრუნვებული იყო:

— სრულებით არ მინდა ამაზე რაიმე ვიცოდე.

— ეჰ, მეც!—ამოიკვნესა ვაჟმა.—უბედური არსებანი ვართ!

ქალმა ხმა არ ამოიღო, იმან კი უფრო ძლიერად მოჰხვია ხელები, და მისი მთრთოლვარე ტუჩები შეეხნენ ქალის კეფაზე და კისერზე გადაშლილ სუნნელოვან თმას. ქალი, თუმცა დაჰყვა მისს ალერსს, წითლდებოდა და ფითრდებოდა, მაგრამ ტუჩებში კოცნის ნება მაინც არ მისცა. ვაჟი ბუტბუტით ისროდა სახვეწარ სიტყვებს, გულში იკრავდა მთრთოლვარე ლამაზ სხეულს და ხარბი პირით ეძებდა აღკრძალულ ხილს.

როცა დამარცხებულად იხილა ქალი, სწორედ ამდროს სიცილით გაუსხლტა ხელიდგან შემკრთალი და ხელის გაწვდით განზე შეაჩერა; გამოიძრო დიდი ქინძისთავი, რომლითაც ქუდი ჰქონდა დამაგრებული და ბოა (ბეწვიანი ყელსახვევი) მოსტყორცნა:

— მოითმინეთ!—წაილაპარაკა ქალმა და ხელით განზე აყენებდა იმას:—ერთი წუთიც!

და მიბნედილის თვალებით, რომელშიაც სიყვარული და სინანული, სურვილი და შიში იხატებოდა, განაგრძო:

— სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი წუთია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერობა.—სურათი დორესი.

III

ვაჟი უნდა მიბრუნებილიყო, რომ ქალის თხოვნა შეესრულებინა; მისი თვალები მიიპყრო დიდმა თეთრმა კონვერტმა, რომელიც კარის მცველს დილით, მოლაპარაკებისამებრ, კარების ძირიდან უნდა შეეცურებინა. უნებურად დაეწოდა წერილს და წარბების მოჭმუხვნით წარწერის წაკითხვა დაიწყო. რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა, წაკითხვას ვერ ჰბედავდა და ჯიბეში ჩასადებად მოამზადა, რომ ამ დროს იქავე ქალის ხმა შემოესმა:

— წაიკითხეთ!

ვაჟი აკანკალდა, და ერთ იმ უნებურ მოძრაობით, რომელიც ჩაგვადენინებს ხოლმე იმას, რაც ჩვენთვის ყველაზე სამძიმოა, წერილი გახსნა. წაიკითხეს:

„დანამდვილებით არა შემიძლიან-რა ვიცოდე, ჩემო მეგობარო, მაგრამ გუშინ შევნიშნე თქვენი ორივეს შეხედვა ერთმანეთისა და ისეთივე მწუხარება ვიგრძენ, როგორც ჩემი ძმის დაკარგვის დღეს. დაძინება ვერ შევძელ; გწერ მწუხარე და დაჩაგრულ-დაქანცული; მგონია, ჩემი აღსასრულის დღე მოვიდა. არაფერს გისაყვედურებ და არც მრისხანებას გიცხადებ. მხოლოდ გემუდარები, რომ შემიბრალო, შეიბრალო ჩემი სრული ნდობა შენ გრძნობისადმი, რომელიც ჩემდამი გიღვივის, შეიბრალე ჩემი ცოლისადმი სიყვარული, რომლის ჩაქრობაც არ ძალმიძს. ჯერ თუ კიდევ დრო არის, ჰკითხე შენ თავს, ღრმად გამოიკვლიე შენი სინიდისი, გასინჯე, იქმნება შესაძლებელი იყოს შენთვის სხვაფრივ ბედნიერების მოპოვება, და უბედურზე უბედურს ნუ გამხდი. თუ უკვე დრო აღარ არის, თუ სამწუხარო შემთხვევა უკვე აღსრულდა, ეჰ! ეცადე მაინც, რომ ეს სამუდამოდ საიდუმლო იყვეს, ეცადე, რომ შენმა სახემ არასდროს არ გამოამჟღავნოს, დაფარე სხვისა თვალისგან ისე, როგორც დაჰფარავდი დამნაშავე მეგობრის საიდუმლოს...“

IV

ორივე შემკრთალნი და გაფითრებულნი იყვნენ და ერთმანეთისათვის ვეღარ შეეხედათ. ქალი სავარძელში ჩავარდა, ის კი კუთხიდგან კუთხემდის გაჩუმებული დადიოდა.

ბოლოს ქალმა ძლივს წამოილუღლუღა:

—იქნება დაფარულად შენახული ღალატი-ღალატი არ იყო, მაგრამ ჩვენ იმათთაგანი არა ვართ, რომ დავფაროთ!

ვაჟმა, თითქო ძილშიაო, გაიმეორა:

— ჩვენ იმათთაგანი არა ვართ, რომ დავფაროთ!



დიომიდე კილაძე
(მეტრანპაჟი „მოამბე“-„ცნობის ფურცლისა“)

V

ქალი ადგა; ქუდი დაიხურა და თავისი ბოა ყელზე მოიხვია. მაშინ ვაჟმა საშინელი მწუხარება იგრძნო, თითქოს სიყვარულის სულის ღაფვა.

— გულ-წრფელად მიყვარდი,— სიმწარით წარმოსთქვა იმან... ასე არც ერთი ქალი არ მყვარებია!

მუხლი მოიდრიკა და ველურისებურ მორჩილებით შეჰხედა:

— ვიცი, რომ თქვენ ამის შემდეგ არას დროს არ უღალატებთ... მაგრამ ჩვენი მსხვერპლის ჯილდოდ ერთი... ერთი კოცნა მაინც!..

ქალმა თავი დახარა, და მათი ტუჩები მხურვალედ შეეწებნენ, და, თითქოს სიყვარულს ჰმარხავენო, დიდხანს იყვნენ ასე.

არც ამ დღეს, და მათი ცხოვრების არც სხვა დღეებს „შედეგი არ წაუკითხავთ.“

ორნი

## ჰ ე ი ნ ე დ ა ნ

თვალებზედ მაწვა ღამის, წყვდიადი;
ბეჭედი მესვა გამშრალ ბაგეს;
დადუმებულის გულით და ტვინით
ვიწექ კუბოში—ცივ სამარეს.

—

რამდენ ხანს ასე გასტანა ძილმა—
მე ამის თქმისთვის არა მაქვს ღონე;
გამომეღვიძა და კუბოს თავზე
ხშირი კაკუნი მე გავიგონე.

—

„ჩემო ჰაინრიხ, არ გინდა ადგე?
დადგა ყველასთვის დღე სანეტარო—
ვინც კი მკვდრად იყო, დღეს ყველა ადგა,
მხიარულია მთელი სამყარო“.

—

ჩემო სამოთხე, ვერ წამოვდგები,
ვეღარას ვხედავ დაბრმავებული;
ამომიშრიტა ცრემლმა თვალები,
რის მაქნისი ვარ დაშავებული?

—

„კოცნით გაგკურნავ, ჩემო ჰაინრიხ,
გადაგიწმენდავ თვალიდგან ბნელსა,
რო დაინახო ქვეყნის მშვენება,
ანგელოზთ გუნდი—კეკლუცი ზეცა“.

—

ჩემო სუყველა, ვერ წამოვდგები!
არ მომრჩენია გულის ის მხარე
გესლიან სიტყვით რო გამიგმირე,
დღესაც მდის ისევ სისხლი მჩქეფარე.

—

„ნაზად დაგადებ გულზედ ხელს, ჰაინრიხ,
და შეგიწყვეტავ სისხლის დენასა;
მოგიალერსებ, ტრფობით გაგკურნავ,
დაგიწყებს გული კვალად ლხენასა.“

—



„იუდა, განსცემ ადამის შვილს ამბორით?“.—სურ. კლემენსისა.



ქრისტეს მიერ ჯვრის ზიდვა.—სურათი გეორგ პაპერიცისა.

ვერ წამოვდგები, ჩემო სულის დგმავ,
თავიდგან სისხლი მდის ისევ შავი;
ხო ტყვია ვიკარ ბედშავმა მაშინ,
როცა წამართვეს მე შენი თავი.

—

„იარას მოგწმენდ. ამ დალალებით
სისხლს უჯუვაქცევ; მტლად დაგედები,
მოგირჩენ თავსა, სულს შემოგწირავ,
ჩემო ჭაინრიხ, თუ წამოდგები.“

—

ამ მუდარებას, გულ-საკლავ ხმასა
ვეღარ გავუძლე—ზე წამოვვარდი,
მინდოდა ჩქარა გავქცეულიყავ,
მალე მენახა მე ჩემი ვარდი.

—

ამდროს პირი ჰქნა უველა იარამ,
სისხლი მოზღვავდა გულსა და თავში,
გამომეღვიძა და მაშინ მივხვდი,
რო უველა ესა ვნახე სიზმარში.

სა.

1902 წ. 1 მარტი.

## ქმ. ადელგეიმთა წარმოდგენები ქ. ქუთაისში




ქუთათური ქალების განუსაზღვრელი სიხარული.

## „სარედაქციო ოთახში“



— რა ამბავია, რასა სჩადიხართ?
— ვვარჯიშობთ, რომ მოულოდნელ მტრისაგან დავიცვათ თავი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Апрѣля 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.